# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27

დაბა ხულო 24 თებერვალი 2020 წელი

ერთის მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ვახტანგ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მეგა შოპი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის მ/შ სერმან მურჯიკნელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად **(NAT200002764)** ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია **საკანცელარიო საქონლის** (შემდგომში საქონელ-მომსახურება) შესყიდვა, ( CPV 30100000).

1.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები, ოდენობები და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N1-ში და დანართ №2-ში, ხოლო საქონლის წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია დანართ N3-ში, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5199.00 (ხუთიათას ასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.**

## 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ალბერტ ბოლქვაძე და მერიის სამეურნეო მუშაკი რამაზ ხმალაძე.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მონტაჟით უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2020 წლის 25 დეკემბრის** ჩათვლით პერიოდში, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან (წერილობითი/სიტყვიერი) 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ამ თავის 4.1 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდება. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია დაბა ხულო, ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1, ხულოს მუნიციპალიტეტის მერია.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია შემსყიდველის მხრიდან **ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნეო მუშაკი რამაზ ხმალაძე.**

## 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

## 7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02 % პროცენტის ოდენობით;
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0.2% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით;

## 11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“**

ხულოს მუნიციპალიტეტი
მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. #1
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს.კ 248056311 ბ/კ: TRESGE22
ანგ. GE24NB0330100200165022

ხულოს მუნიციპალიტეტის
მერი ვახტანგ ბერიძე

_____
(ხელმოწერა)

khulo municipality
Digitally signed by khulo municipality
Date: 2020.02.24 16:01:22 +04'00'

**„მიმწოდებელი“**

შპს „მეგა შოპი“
მის.: ქ. ახალციხე,ნიკოლაძისN39
სს „საქართველოს ბანკი“
ს.კ. 400058085 ბ/კ: BAGAGE22
ანგ. GE91BG0000000857045000

შპს „მეგა შოპი“-ს დირექტორის
მ/შ სერმან მურჯიკნელი

_____
(ხელმოწერა)

დანართი N1

# ფასების ცხრილი

| N | შესყიდვის ობიექტი | ტექნიკური მახასიათებლები | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტოკალამი | ლურჯიფერის მელნით | ცალი | 2050 | 0.15 | 307.5 |
| 2 | ტუშის პასტა | შავი | ცალი | 120 | 0.28 | 33.6 |
| 3 | ტუშის პასტა | წითელი | ცალი | 100 | 0.28 | 28 |
| 4 | ტუშის პასტა | ლურჯი | ცალი | 100 | 0.28 | 28 |
| 5 | სტეპლერი | საშუალო | ცალი | 50 | 2.28 | 114 |
| 6 | სტეპლერი | პატარა | ცალი | 20 | 2.1 | 42 |
| 7 | სტეპლერი | დიდი | ცალი | 20 | 11 | 220 |
| 8 | სახვრეტელა | საშუალო | ცალი | 5 | 5 | 25 |
| 9 | სწრაფჩამკერი | მუყაოს ორგოლიანი შესაკრავით | ცალი | 50 | 0.3 | 15 |
| 10 | სწრაფჩამკერი | ფერადი | ცალი | 100 | 0.25 | 25 |
| 11 | სწრაფჩამკერი | შესაკრავი გაფთით | ცალი | 100 | 0.3 | 30 |
| 12 | გაინდერი | A-4 ჩასადები ფირნიშით (განიერი) | ცალი | 350 | 2.5 | 875 |
| 13 | სკრეპი | პატარა | ცალი | 60 | 0.5 | 30 |
| 14 | სკრეპი | დიდი | ცალი | 70 | 1.1 | 77 |
| 15 | კორექტორი | დიდი | ცალი | 100 | 0.65 | 65 |
| 16 | კორექტორი | ფუნჯისებური | ცალი | 10 | 0.65 | 6.5 |
| 17 | ჭიკარტი | სტანდარტული | ცალი | 20 | 0.45 | 9 |
| 18 | კლიპსი | პატარა (ფურცლის დამჭერი) | ცალი | 100 | 0.06 | 6 |
| 19 | კლიპსი | დიდი (ფურცლის დამჭერი) | ცალი | 100 | 0.21 | 21 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | საკანცელარიო დანა | დიდი | ცალი | 60 | 0.45 | 27 |
| 21 | სტეპლერის სარჭი | დიდი | ცალი | 60 | 0.75 | 45 |
| 22 | სტეპლერის სარჭი | პატარა | ცალი | 60 | 0.35 | 21 |
| 23 | სტეპლერის სარჭი | საშუალო | ცალი | 60 | 0.45 | 27 |
| 24 | კალენდარი მაგიდის | დასადგამის გარეშე | ცალი | 40 | 3 | 120 |
| 25 | კალენდარი მაგიდის | სამკუთხა მუყაოს დასადგამით | ცალი | 50 | 3.2 | 160 |
| 26 | მარკერი | სხვადასხვა ფერის | ცალი | 100 | 0.35 | 35 |
| 27 | ფლომასტერი | მსხვილი მელნისფერი | ცალი | 30 | 2.5 | 75 |
| 28 | სახაზავი პლასმასის | 30 სმ | ცალი | 50 | 0.3 | 15 |
| 29 | სახაზავის წაბორი | სხვადასხვა ზომის | ცალი | 10 | 3 | 30 |
| 30 | საშლელი | არანაკლებ 5X105ს | ცალი | 100 | 0.15 | 15 |
| 31 | მოსანიშნი ფურცელი | სტანდარტული ფერად (წებოვანი) | ცალი | 200 | 0.4 | 80 |
| 32 | მოსანიშნი ფურცელი | სტანდარტული (ჩასაწყობი ყუთით) | ცალი | 50 | 2.5 | 125 |
| 33 | სარჭის ამოსაღები | პატარა | ცალი | 50 | 0.45 | 22.5 |
| 34 | გამომთვლელი | სამაგიდო მინიმუმ 12 ფუნქციით (კარგი ხარისხით) | ცალი | 40 | 6.5 | 260 |
| 35 | ფანქარი | სტანდარტული (საშლელით | ცალი | 100 | 0.11 | 11 |
| 36 | ფანქარი | ავტომატურ 0.5მმ | ცალი | 10 | 0.35 | 3.5 |
| 37 | ფანქარი | ავტომატურ 0.7მმ | ცალი | 10 | 0.5 | 5 |
| 38 | ფანქარი | ავტომატურ 0.9მმ | ცალი | 10 | 0.6 | 6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 39 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.5 მმ | ცალი | 10 | 0.2 | 2 |
| 40 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.7 მმ | ცალი | 10 | 0.25 | 2.5 |
| 41 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.9 მმ | ცალი | 10 | 0.4 | 4 |
| 42 | სათლელი ფანქრის | საშუალო | ცალი | 40 | 0.2 | 8 |
| 43 | ბალიში ბეჭდის | დიდი | ცალი | 10 | 1 | 10 |
| 44 | ბალიში | ხელის (დასასველებელი) | ცალი | 20 | 0.95 | 19 |
| 45 | კონვერტი თეთრი | დიდი | ცალი | 260 | 0.15 | 39 |
| 46 | კონვერტი თეთრი | საშუალო | ცალი | 600 | 0.09 | 54 |
| 47 | კონვერტი თეთრი | პატარა | ცალი | 350 | 0.07 | 24.5 |
| 48 | საკანცელარიო მაკრატელი | საშუალო | ცალი | 10 | 1.2 | 12 |
| 49 | მელანი ბეჭდის | ლურჯი ფერის მელნით კოლოფი არანაკლებ 200 მლ | ცალი | 2 | 1.5 | 3 |
| 50 | შლეიფი ბეჭდის | სტანდარტული | ცალი | 2 | 6 | 12 |
| 51 | ორგანაიზერი | დიდი | ცალი | 5 | 7 | 35 |
| 52 | ქაღალდი | A-3 ფორმატის, (500 ფურცელი) 80გრ | შეკვრა | 75 | 18 | 1350 |
| 53 | ფოტოქაღალდი | ორმხრივად პრიალა, (50 ფურცელი) A-4 ფორმატის | შეკვრა | 105 | 5 | 525 |
| 54 | მაგიდის თარო | პლასტმასის სამი სექციით | ცალი | 5 | 11.68 | 58.4 |
| | | | | | **სულ ჯამი** | **5199.000** |

შპს „მეგა შოპი“-ს დირექტორის მ/შ სერმან მურჯიკნელი

დანართი N2

## ინფორმაცია მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის ქვეყანისა და მწარმოებელი კომპანიის შესახებ

| N | შესყიდვის ობიექტი | ტექნიკური მახასიათებლები | განზომილების ერთეული | რაოდენობა | წარმოშობის ქვეყანა | მწარმოებელი კომპანია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტოკალამი | ლურჯიფერის მელნით | ცალი | 2050 | ინდოეთი | ორიონ |
| 2 | ტუშის პასტა | შავი | ცალი | 120 | ჩინეთი | ნეუ სტილლ |
| 3 | ტუშის პასტა | წითელი | ცალი | 100 | ჩინეთი | ნეუ სტილლ |
| 4 | ტუშის პასტა | ლურჯი | ცალი | 100 | ჩინეთი | ნეუ სტილლ |
| 5 | სტეპლერი | საშუალო | ცალი | 50 | ჩინეთი | დეკო |
| 6 | სტეპლერი | პატარა | ცალი | 20 | ჩინეთი | დეკო |
| 7 | სტეპლერი | დიდი | ცალი | 20 | ჩინეთი | დეკო |
| 8 | სახვრეტელა | საშუალო | ცალი | 5 | ჩინეთი | დინგლი |
| 9 | სწრაფჩამკერი | მუყაოს ორგოლიანი შესაკრავით | ცალი | 50 | საქართველო | ერა |
| 10 | სწრაფჩამკერი | ფერადი | ცალი | 100 | ჩინეთი | ტექს |
| 11 | სწრაფჩამკერი | შესაკრავი გაფთით | ცალი | 100 | საქართველო | ერა |
| 12 | გაინდერი | A-4 ჩასადები ფირნიშით (განიერი) | ცალი | 350 | ჩინეთი | დეკო |
| 13 | სკრეპი | პატარა | ცალი | 60 | ჩინეთი | დეკო |
| 14 | სკრეპი | დიდი | ცალი | 70 | ჩინეთი | დეკო |
| 15 | კორექტორი | დიდი | ცალი | 100 | ჩინეთი | დეკო |
| 16 | კორექტორი | ფუნჯისებური | ცალი | 10 | ჩინეთი | დეკო |
| 17 | ჭიკარტი | სტანდარტული | ცალი | 20 | ჩინეთი | დინგლი |
| 18 | კლიპსი | პატარა (ფურცლის დამჭერი) | ცალი | 100 | ჩინეთი | მემორის |
| 19 | კლიპსი | დიდი (ფურცლის დამჭერი) | ცალი | 100 | ჩინეთი | მემორის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | საკანცელარიო დანა | დიდი | ცალი | 60 | ჩინეთი | მემორის |
| 21 | სტეპლერის სარჭი | დიდი | ცალი | 60 | ჩინეთი | დინგლი |
| 22 | სტეპლერის სარჭი | პატარა | ცალი | 60 | ჩინეთი | დინგლი |
| 23 | სტეპლერის სარჭი | საშუალო | ცალი | 60 | ჩინეთი | დინგლი |
| 24 | კალენდარი მაგიდის | დასადგამის გარეშე | ცალი | 40 | საქართველო | ერა |
| 25 | კალენდარი მაგიდის | სამკუთხა მუყაოს დასადგამით | ცალი | 50 | საქართველო | ერა |
| 26 | მარკერი | სხვადასხვა ფერის | ცალი | 100 | ჩინეთი | დეკო |
| 27 | ფლომასტერი | მსხვილი მელნისფერი | ცალი | 30 | ჩინეთი | მემორის |
| 28 | სახაზავი პლასმასის | 30 სმ | ცალი | 50 | ჩინეთი | მემორის |
| 29 | სახაზავის ნაბორი | სხვადასხვა ზომის | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 30 | საშლელი | არანაკლებ 5X105ს | ცალი | 100 | ჩინეთი | მემორის |
| 31 | მოსანიშნი ფურცელი | სტანდარტული ფერად (წებოვანი) | ცალი | 200 | ჩინეთი | სტიკ |
| 32 | მოსანიშნი ფურცელი | სტანდარტული (ჩასაწყობი ყუთით) | ცალი | 50 | ჩინეთი | დეკო |
| 33 | სარჭის ამოსაღები | პატარა | ცალი | 50 | ჩინეთი | დინგლი |
| 34 | გამომთვლელი | სამაგიდო მინიმუმ 12 ფუნქციით (კარგი ხარისხით) | ცალი | 40 | ჩინეთი | ალფა |
| 35 | ფანქარი | სტანდარტული (საშლელით | ცალი | 100 | ჩინეთი | ვეგა |
| 36 | ფანქარი | ავტომატურ 0.5მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 37 | ფანქარი | ავტომატურ 0.7მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 38 | ფანქარი | ავტომატურ 0.9მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 39 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.5 მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 40 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.7 მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 41 | ავტომატური ფანქრის წვერები | 0.9 მმ | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 42 | სათლელი ფანქრის | საშუალო | ცალი | 40 | ჩინეთი | მემორის |
| 43 | ბალიში ბეჭდის | დიდი | ცალი | 10 | ჩინეთი | ჰოურსე |
| 44 | ბალიში | ხელის (დასასველებელი) | ცალი | 20 | ჩინეთი | მემორის |
| 45 | კონვერტი თეთრი | დიდი | ცალი | 260 | თურქეთი | დოღან |
| 46 | კონვერტი თეთრი | საშუალო | ცალი | 600 | თურქეთი | დოღან |
| 47 | კონვერტი თეთრი | პატარა | ცალი | 350 | თურქეთი | დოღან |
| 48 | საკანცელარიო მაკრატელი | საშუალო | ცალი | 10 | ჩინეთი | მემორის |
| 49 | მელანი ბეჭდის | ლურჯი ფერის მელნით კოლოფი არანაკლებ 200 მლ | ცალი | 2 | ჩინეთი | მემორის |
| 50 | შლეიფი ბეჭდის | სტანდარტული | ცალი | 2 | ჩინეთი | მემორის |
| 51 | ორგანაიზერი | დიდი | ცალი | 5 | ჩინეთი | მემორის |
| 52 | ქაღალდი | A-3 ფორმატის, (500 ფურცელი) 80გრ | შეკვრა | 75 | ჩინეთი | ნევია |
| 53 | ფოტოქაღალდი | ორმხრივად პრიალა, (50 ფურცელი) A-4 ფორმატის | შეკვრა | 105 | ჩინეთი | ნევია |
| 54 | მაგიდის თარო | პლასტმასის სამი სექციით | ცალი | 5 | ჩინეთი | მემორის |

**შპს „მეგა შოპი“-ს დირექტორის მ/შ** **სერმან მურჯიკნელი**